**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი №23**

ქ. თბილისი 12.12.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
**თამარ ფხალაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;
**შალვა ტაბატაძე** - ა(ა)იპ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის თავმჯდომარე;
**რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
**გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
**ქეთევან აბულაძე** - სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;
**არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის" აკადემიური დირექტორი;
**თამარ კაპანაძე** - სსიპ - თბილისი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;
**გიორგი გახელაძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ლევან მადათოვი** - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
**გიორგი მელიქაძე** - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი
**ანა ლელაძე** - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
**ლალი შაიშმელაშვილი** - ზოგადი განათლების განვითარების სპეციალისტი
**მარიამ შოშიაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**შპს ინტელექტი XXI:**
მარინე თოდუა - დირექტორი;
ლიანა კობესაშვილი- დირექტორის მოადგილე.

**შპს თბილისის  დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელი:**
ქეთევან წულაია - დირექტორი.

**შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯი:**
ირინა ზედგენიძე - დირექტორი;
ია მაისურაძე- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

**ა(ა) იპ - ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდი:**
იღუმენია სიდონია (ელენე დარჩია)- დირექტორი;
ნინო ზენაიშვილი- საქმეთა მმართველი;
ლელა ქორიძე- ბუღალტერი.

**შპს აიბი-მთიები:**
ნინო ჩიკვაიძე - დირექტორი;
რამაზ ფარესაშვილი-საშუალო სკოლის დირექტორი;
ნინო დოლიძე-საბაზო სკოლის დირექტორი;
ნინო აბაშიძე-დაწყებითი სკოლის დირექტორი;
სალომე ჩხეიძე- ხარისხის მართვის მენეჯერი.

**შპს სკოლაXXI საუკუნე:**
შორენა ჭელიშვილი - დამფუძნებელი;
მაკა აბჟანდაძე  -სასწავლო ნაწილის გამგე.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):**
ირინა დვალი;
ნატო  სანაია;
ნელი ნასყიდაშვლი;
ნატო გაბოშვილი;
ციალა გაგნიძე;
მარინე სეხნიაშვილი;
ეკატერინე გიგაშვილი;
სერგო დურგლიშვილი;
თამარ ჩხიკვაძე;
მანანა თურქაძე;
ნინო ფორჩხიძე;
ლეილა გველესიანი;
ქეთევან ჯანუაშვილი;
ია ფირანიშვილი-გიგიბერია.

**სხვა დამსწრე პირები:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები: მაია ჩიხლაძე, მამია ჯანჯალია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ მურღულიამ.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:10 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. შპს ინტელექტი XXI-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს აიბი - მთიების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი.

## 1. შპს ინტელექტი XXI-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა ირინა დვალმა საბჭოს წარუდგინა ჯგუფის დასკვნა, მიაწოდა ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ, ასევე დასკვნაში ასახული ძირითადი შენიშვნები და რეკომენდაციები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ავტორიზაციის ვადა ეწურებოდა 2016 წლის 13 დეკემბერს. სკოლის შეფასებისას ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა იხელმძღვანელეს 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით.

დაწესებულებაში არსებულ შეფასების სისტემასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეფასების მეთოდები არ იყო რუბრიკებად გაწერილი სისტემაში, თუმცა შემაჯამებელში იყო და ვიზიტის მიმდინარეობისას ურჩიეს დაწესებულებას გადაეტანა სისტემაში. ორგანიზაციას ასევე მიეცა რეკომენდაცია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების ნაწილში გამოჩენილიყო თითოეული აქტივობა რომელ კომპონენტს იყო მორგებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს პროგრამულ ნაწილზე ხომ არ ქონდათ რაიმე კითხვა. გრიგოლ მურღულიამ მიუთითა დაწესებულებას შემუშავებულ მისიაზე და ურჩია ჩანაწერი - ,,ესთეტიკური უნარის ახალგაზრდის აღზრდა" ქართულად უკეთ გაემართათ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით სხვა შენიშვნა არ იყო დაფიქსირებული.

მატერიალური რესურსების ნაწილში ექსპერტის აზრით, არსებითი ხასიათის შენიშვნა არ იყო დაფიქსირებული. ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებაში არ იყო მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსი და ისიც ვიზიტის დროს დაამონტაჟეს. ასევე, საქმისწარმოების წესთან იყო შენიშვნა, კერძოდ - ადრე სხვა სახელი ერქვა სკოლას და როცა გადაერქვა სახელი, საქმისწარმოების წესში კი შევიდა შესაბამისი შესწორებები, თუმცა ერთიანი სახე ვერ მიიღო დოკუმენტმა და ზოგიერთ ადგილას ისევ დაწესებულების ძველი სახელი იყო ჩარჩენილი. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ჯგუფმა მისცა სკოლას რეკომენდაცია, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოეფხვრათ. დაწესებულებამ ზეპირ მოსმენაზე წარმოადგინა საქმისწარმოების განახლებული წესი. გრიგოლ მურღულიამ სთხოვა ექსპერტებს ენახათ ახალი საქმისწარმოების წესი და დაედასტურებინათ გასწორდა თუ არა დაფიქსირებული შენიშვნები. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ საქმისწარმოების წესში დაფიქსირებული შენიშვნები იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე, იკითხა სკოლაში არსებული მოსწავლეთა რაოდენობა და ბიბლიოთეკის ფართი რამდენად გონივრულ თანაფარდობაში იყო ერთმანეთთან, კერძოდ, 102 მოსწავლისათვის რამდენად საკმარისი იყო აღნიშნული ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი ფართი. ორგანიზაციის წარმომადგენლების განმარტებით, ბიბლიოთეკით ერთდროულად

ყველა მოსწავლე არ სარგებლობდა და თან მოსწავლეებს წიგნის გატანა შეეძლოთ საკლასო ოთახში ან სახლში, თუმცა სხვა დაკეტილი ოთახების ხარჯზე სამკითხველო ოთახის გაფართოვებაც იყო შესაძლებელი.

მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ დასმულა.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტაციაში წახალისების ფორმები იყო ზოგადი, ხოლო დისციპლინური სახდელის დადების წესები კი - დეტალური, რაზეც სკოლას გაეწია რეკომენდაცია რომ მომხდარიყო ორივე შემთხვევის დეტალურად გაწერა.

ასევე, შენიშვნა დააფიქსირდა დამლაგებლის ხელშეკრულებაში, რომელიც არ იყო ტექნიკურ პერსონალზე მორგებული, მაგალითად მას ქონდა მინიჭებული პედსაბჭოზე საკითხის წამოჭრის უფლება.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ დასმულა.

სკოლას ეთხოვა სიტყვა განმარტებებისათვის. სკოლის წარმომადგენელმა თქვა, რომ ყველა ის შენიშვნა, რომელიც ფიქსირდებოდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო გათვალისწინებული, კერძოდ, მაგალითად დამლაგებლის ხელშეკრულება გასწორდა, წახალისების ფორმებიც დაკონკრეტდა. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დაუდასტურა საბჭოს წევრებს, რომ ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 260 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტელექტი XXI-ისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ინტელექტი-XXI-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 208218659) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260-ით.

**2. შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა. მან აღნიშნა, რომ: სკოლამ სექტემბერში შეიცვალა მისამართი და ამჟამად განთავსებული იყო შენობის მეორე სართულზე. ვიზიტის დროს დადგინდა გარკვეული შეუსაბამობები ცენტრში წარმოდგენილ მასალასა და ადგილზე მოწოდებულ დოკუმენტაციას შორის, თუმცა ადგილზე მოხდა შენიშვნების გათვალისწინება და ესგ-სთან შესაბამისობაში მოვიდა სასკოლო სასწავლო გეგმის გარკვეული ნაწილები.

თუმცა, აღსანიშნავი იყო, რომ უსაფრთხოების ზომები არ იყო დაცული ელექტროგამათბობლებთან დაკავშირებით, ასევე ცეცხლმაქრები იყო დასატენი. ეს ხარვეზებიც მალევე გამოსწორდა.

საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებების ფორმა იყო ძირითადად ტესტური, ზოგიერთ საგანში გამოყენებული იყო სხვა ფორმებიც. არ იყო წარმოდგენილი ქიმიაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ასევე ბიოლოგიის სილაბუსების მიხედვით: მე-8, მე-9 და მე-10 კლასების სილაბუსებში არ იყო ბიოლოგიის საგნობრივი სტანდარტის ერთი მიმართულების: კვლევა-ექსპერიმენტის სწავლების დაგეგმვა/განხორციელების შესაბამისი აქტივობები. ყველა კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალება ფასდებოდა ერთი შეფასების სქემით. არ იყო გაკეთებული ანალიზები, არ ერთვოდა რამდენიმე მოსწავლის გასწორებული ნამუშევარი. ანალოგიური მდგომარეობა იყო ფიზიკაში, სამოქალაქო განათლებაში, ისტორიაში და ინგლისურ ენაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა შემაჯამებელი დავალებების შესახებ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ: არ იყო შემუშავებული შემაჯამებელი დავალებებისთვის შემუშავებული შეფასების სქემა და ამ სქემაზე დაყრდნობით გასწორებული მოსწავლის ნამუშევრები.

გრიგოლ მურღულიამ ამოიკითხა დასკვნიდან აღნიშნული შენიშვნები და დააფიქსირა მოსაზრება რომ, დასკვნაში გაკეთებული ჩანაწერები მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა და სკოლის სასწავლო გეგმა არ შეესაბამებოდა ესგ-ს მოთხოვნებს. ამის გამო, სკოლისთვის საბჭოს შეეძლო ავტორიზაციის მინიჭებაზე უარი ეთქვა, თუმცა სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თავდაპირველად დაწესებულების წარმომადგენლისთვის უნდა მოესმინათ.

ექსპერტმა განაგრძო დასკვნის წარდგენა და ისაუბრა სასკოლო სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით. გამოცდების ჩატარების თაობაზე აღნიშნა, რომ არ იყო განსაზღვრული რომელ კლასში და როდის ტარდებოდა გამოცდები. გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა ვიზიტისას

აღმოაჩინეს, რომ მშობლებმა არ იცოდნენ როდის იყო ან ტარდებოდა თუ არა საერთოდ წლის ბოლოს გამოცდები, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. დირექტორთან ინტერვიურებისას კი გაირკვა, რომ ამ საკითხს სკოლა შემდგომში გადაწყვეტდა მოსწავლეებისა და მშობლების მოსაზრებების გათვალისწინებით. თუმცა, სკოლაში არსებობს დოკუმენტი, სადაც წერია, თუ რომელ საგნებში ატარებს დაწესებულება გამოცდას, კლასების მიხედვით.

გრიგოლ მურღულიამ მიმართა საბჭოს, პირველ სტანდარტთან დაკავშირებით თუ არსებობდა კითხვები.

საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ დასვა შეკითხვა: დადასტურებული იყო თუ არა, რომ 1-4 კლასებში მოსწავლეები ქულებით ფასდებოდნენ? ექსპერტმა აღნიშნულ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა, კერძოდ მან აღნიშნა, რომ აღნიშნული ფაქტი დასტურდებოდა ინტერვიურებითაც, თუმცა მასწავლებლებმა ვიზიტის მიმდინარეობისას აღნიშნეს, რომ ქულები ჟურნალში არ ფიქსირდებოდა. აღნიშნული ფაქტი ფიქსირდებოდა მოსწავლეთა დღიურებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთათვის მინიჭებული ღიმილები დაწესებულებაში განმავითარებელ შეფასებად იყო მიჩნეული.

საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ გამოცდებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლას საიტზე დღევანდელი რიცხვით გამოცდების განრიგი ჰქონდა დადებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ ვებგვერდი ვიზიტის დროს არ ასრულებდა საინფორმაციო ფუნქციას და კარგია თუ მოცემული შენიშვნა გამოსწორდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს მათ დაწესებულებას მისცეს რეკომენდაცია, რომ გამოცდების დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილება სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განსაზღვრულიყო და ასევე უნდა შეთანხმებულიყო პედსაბჭოსთან.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს დასკვნაში მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება,

დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ მან ინტერვიუს დროს სემესტრული გამოცდის დანიშვნა იგულისხმებოდა და არა წლიურის. ინფორმირება წლის დასაწყისში ეხებოდა წლიურ გამოცდას. სემესტრული გამოცდის შემთხვევაში კი რეგულაცია შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ავტორიზაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ მათი კითხვა ეხებოდა წლიურ გამოცდას, თუმცა სემესტრულიც რომ ყოფილიყო, სკოლას უნდა გადაეწყვიტა მისი ჩატარების თარიღი და პირობები. გრიგოლ მურღულიამ განაცხადა, რომ როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, გამოცდების შესახებ მოსწავლეები და მშობლები არ იყვნენ ინფორმირებულნი.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავას მოსაზრებით, თუ ამ რაოდენობის საგნებში ყოველწლიურად ტარდებოდა გამოცდები, როგორ არ იყვნენ მოსწავლეები ინფორმირებულნი გამოცდების შესახებ. გრიგოლ მურღულიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ინფორმირებულობა გულისხმობდა იმასაც, თუ რა საგანში, როდის, როგორ და რა შეფასების პრინციპებით ტარდებოდა გამოცდები.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ დაბნეულობის გამო ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებს ვერ მიაწოდა ის დოკუმენტაცი, სადაც გამოცდების განრიგი იყო გაწერილი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული დოკუმენტი სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. გრიგოლ მურღულიამ აღნიშნა, რომ მისთვის დაწესებულების წარმომადგენლის განმარტება იყო ბუნდოვანი და მიუღებელი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დოკუმენტაციის მიხედვით არ

დასტურდებოდა, რომ სასკოლო საზოგადოება ინფორმირებული იყო გამოცდების შესახებ. ასევე სასკოლო საზოგადოება არ იყო ინფორმირებული შეფასების კრიტერიუმებზე.

საბჭოს წევრი არჩილ სუმბაძე დაინტერესდა სკოლაში არსებული შეფასები სისტემით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწყებით კლასებში შეფასება ჟურნალებში არ იწერებოდა. მართალია, ექსპერტმა დღიური ნახა, სადაც ნიშანი ეწერა, მაგრამ ამას ოფიციალური დატვირთვა არ ჰქონდა. ამასთან, ყველას არ ჰქონდა დღიური, მხოლოდ რამდენიმე მოსწავლეს.

საბჭოს წევრი გიორგი გახელაძე დაინტერესდა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მე-8-მე-11 კლასებში ბუნებისმეტყველებაში კვლევა-ექსპერიმენტი არ იყო გათვალისწინებული და როგორ წარმოედგინა სკოლას აღნიშნული საგნების სწავლება. დაწესებულის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ლაბორატორია. გიორგი გახელაძემ აღნიშნა, რომ შეიძლება დაწესებულებას ჰქონოდა ლაბორატორია, თუმცა ის სასწავლო პროცესში არ გამოეყენებინა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა ლაბორატორიას აქტიურად იყენებდა სასწავლო პროცესში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ლაბორატორია, სადაც განთავსებული იყო 8 ერთადგილიანი მერხი, 2 მაგიდა. სველი წერტილი ლაბორატორიაში არ იყო დამონტაჟებული.

სხდომის თავმჯდომარემ გრიგოლ მურღულიამ დასკვნიდან ამოიკითხა შეფასებასა და ნამუშევრების გასწორებასთან დაკავშირებული საკითხები, სადაც ეწერა, რომ რამდენიმე საგანში არ იყო შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ საგნის შემაჯამებელი შეფასების შესახებ დოკუმენტაცია ვერ მოახერხეს, რომ ექსპერტებისთვის მიეწოდებინათ.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ განმარტა, რომ ვერ გაიზიარებდა დაწესებულების განმარტებას იმის თაობაზე, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებს ვერ მიაწოდეს სრულყოფილი დოკუმენტაცია. მისი მოსაზრებით, სკოლაში პროცესი სისტემურად არ იყო დალაგებული და დაგეგმილი. ვიზიტის პერიოდში, როდესაც დაწესებულებამ იცოდა, რომ უნდა მოსულიყვნენ ექსპერტები, რატომ ვერ მოხერხდა, რომ ექსპერტებისთვის გადაეცათ სრულყოფილი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება სკოლის მისიასთან დაკავშირებით, კერძოდ, დაწესებულების მთავარ მისიას წარმოადგენდა უცხო ენების შესწავლა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, ის, თუ როგორ შეიძლებოდა სკოლის მთავარი მისია ყოფილიყო უცხო ენების შესწავლა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს რეკომენდაციით, რომ მისია შეეცვალათ და ახლებურად ჩამოეყალიბებინათ.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არ იყო ადაპტირებული გარემო, ვიზიტის პერდიოდში გამართულად არ მუშაობდა ვებგვერდი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო

გარემოს შექმნა შეეძლო 100 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: გრიგოლ მურღულიამ, არჩილ სუმბაძემ და გიორგი გახელაძემ.

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის დამოუკიდებელ საერო გიმნაზია კანდელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204414981) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო შუამდგომლობით მიმართავდა ცენტრს, ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 1 თვის ვადაში სკოლაში განხორციელებულიყო მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი და გადამოწმებულიყო, რამდენად იყო გამოსწორებული ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნული შენიშვნები.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა გიორგი გახელაძემ.

**3. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარებსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხის განხილვას ავტორიზაციის დებულების 23-ე მუხლის 1[2] პუნქტის საფუძველზე ესწრებოდნენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები - მაია ჩიხლაძე და მამია ჯანჯალია.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ციალა გაგნიძემ. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და შეფასებები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

შემდგომ სიტყვა გადაეცა დაწესებულების წარმომადგენელს. მან აღნიშნა, რომ სპორტის საათები ჩასმული იყო საგაკვეთილო ცხრილის ბოლოს, სკოლას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული 161-ე საჯარო სკოლასთან და მოსწავლები ტრანსპორტით გადაყავდათ. ყველაფერი მშობლებთან შეთანხმების შედეგად ხდებოდა.

სხდომის თავმჯდომარე გრიგოლ მურღულია დაინტერესდა, როდის და რა სახის კონფერენციები ტარდებოდა სკოლაში და კონკრეტული მიმართულება იყო თუ არა განსაზღვრული. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ყველა საგნობრივი მიმართულება იყო აქტუალური, მოსწავლეებს ეძლეოდათ საშუალება აერჩიათ მიმართულება და კონფერენციაზე წარადგენდნენ მათთვის აქტუალურ თემებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონფერენციაში მონაწილეობა იყო სავალდებულო, მოსწავლეები ირჩევდნენ თემატიკას და ხელმძღვანელს. აღნიშნული აქტივობის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა პრეზენტაციისა და მეტყველების უნარის ჩამოყალიბება.

გრიგოლ მურღულია დაინტერესდა საკითხით, თუ რა ასაკიდან იყო სავალდებულო კონფერენციაში მონაწილეობა ყველა მოსწავლისათვის. ასევე, სკოლა თუ სარგებლობდა ელექტრონული ჟურნალით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონფერენცია ეხებოდა 10, 11, 12 კლასელებს, კონფერენცია ძირითადად იყო ერთ დღიანი, და იყოფოდა ექვს საგნობრივ სექციად, ყველა სექციას ჰყავდა თავმჯდომარე. წინასწარ, კონფერენციის გამართვამდე სამი დღის განმავლობაში ხდებოდა ნაშრომებზე მუშაობა და იწერებოდა რეცენზიები.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ელექტრონული ჟურნალით ამ ეტაპზე სკოლა არ სარგებლობდა, თუმცა, მომავალი წლიდან აპირებდა მის დანერგვას. დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო ნდობა და მოსწავლის პატივისცემა.

დამატებითი კითხვები საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ, შესაბამისად თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს შეეფასებინათ სტანდარტი სამივე მიმართულებით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ ექსპერტ ეკა გიგაშვილს სთხოვა დაწესებულების პროფესიული განათლების ნაწილში დასკვნის წარმოდგენა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, დაწესებულების სურვილი იყო განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა მესამე საფეხურის შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: ოფის მენეჯერი, მცენარეების დამამზადებელი(სამკურნალო, არომატული), კბილის ტექნიკოსი და ინტერნეტ-ტექნოლოგი. ცხრილი იყო დროში გამიჯნული და არ ემთხვეოდა სკოლისა და პროფესიული განათლების მეცადინეობები ერთმანეთს. ამჟამად პროფესიული სტუდენტის რაოდენობა იყო 61.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, რამდენად იყო მორგებული სივრცე არსებითად განსხვავებულ მიმართულებებზე. ექსპერტმა დააზუსტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა სამი ლაბორატორია.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა პროფესიული განათლება იყო ფასიანია თუ უფასო. ასევე, სკოლის მოსწავლეები როგორ ახერხებდნენ სწავლას კოლეჯში. რატომ შეირჩა ეს პროფესიული პროგრამები და რამდენი მოსწავლე აგრძელებდა სწავლას შემდეგ უმაღლესი განათლების საფეხურზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბაზო განათლების მქონე პირებს შეუძლიათ ჩაირიცხონ მესამე საფეხურზე. მთლიანი გადასახადი იყო 2000 ლარი, აქედან 1 500 ლარს იხდიდნენ სკოლის ნაწილში, დანარჩენს - პროფესიულის ნაწილში. პროფესიულის მასწავლებლებს ჰქონდათ შესაბამისი კვალიფიკაცია, მათთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები. რაც შეეხება მოსწავლეთა დატვირთვას, ძირითადი დატვირთვა მოდის მეთორმეტე კლასზე. მათი სასწავლო ბადე არ იყო ასეთი დატვირთული, როგორც მეთერთმეტე კლასის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა არჩევითი საგნები და ხშირ შემთხვევაში არჩევითი საგანიც იყო პროფესიული კუთხით. მთელი შაბათი დღე გამოიყენებოდა პრაქტიკისათვის.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაიარა ყველა ეტაპი და რეფორმა, რაც ეხებოდა პროფესიული განათლების სისტემას, შევისწავლეთ ჩვენი კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები. სკოლის კურსდამთავრებულთა 30% რჩებოდა პროფესიულ განათლებაში და დანარჩენი მიდიოდნენ უმაღლესი განათლების საფეხურზე.

მაია ჩიხლაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ 2005 წლიდან ის თვალს ადევნებდა ამ სკოლას, სკოლა თავიდანვე ახორციელებდა კბილის ტექნიკოსის პროგრამას. მათ ჰქონდათ კაბინეტი და მხოლოდ მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება.

საბჭომ იმსჯელა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობაზე. წინა ავტორიზაციით განსაზღვრული იყო 100 ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის და 123 სკოლის მოსწავლეებისთვის. დაწესებულების განმარტებით დაწესებულებამ დაამატა 20 მერხი და შესაბამისად შესაძლებელი იყო საერთო რაოდენობის 215 მოსწავლისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა, მათ შორის 70 პროფესიული სტუდენტისათვის. ექსპერტებმა დაადასტურეს რომ სკოლას შეეძლო 215 მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 215-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის 70-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205083112) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.
შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 215-ით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 70-ით.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გიორგი გახელაძე.

**4. ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა სერგო დურგლიშვილმა. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და შეფასებები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ხელვაჩაურში. დაწესებულება მოსწავლეებს ასევე სთავაზობდა საპანსიონატო მომსახურებასაც. ვიზიტისას აღმოჩენილი ყველა ხარვეზი დაწესებულებამ გამოასწორა ადგილზე, ვიზიტის მიმდინარეობისას. ძირითადად ხარვეზები ეხებოდა რეესტრში ცვლილებების შემდეგ შენობების გამიჯვნას, უსაფრთხოების კამერების საკითხსა და საღვთო სჯულის საგნის სავალდებულო სტატუსს.

სხდომის თავმჯდომარე გრიგოლ მურღულია დაინტერესდა გრიფირებული სახელმძღვანელოების საკითხით, კერძოდ საღვთო სჯულის სახელმძღვანელოს და საგნის სტატუსს, ასევე სკოლის მისიას, სადაც გაცხადებული იყო, რომ დაწესებულების მისია იყო ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე დაყრდნობით ახალგაზრდობის აღზრდა. დაწესებულების განმარტებით საგნის სწავლებისათვის გამოიყენება საპატრიარქოს მიერ გამოცემული წიგნები. ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად, საღვთო სჯულის საგანს სავალდებულო სტატუსი აღარ ჰქონდა, თუმცა, ყველას ჰქონდა სურვილი მისი გავლის. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლა ემსახურებოდა ყველა სოციალურად დაუცველ ოჯახს. მისიის შესახებ ექსპერტმა განმარტა, რომ ისინი სკოლის მისიასთან სასკოლო გეგმის შესაბამისობას ამოწმებდნენ.

საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ იკითხა სსსმ მოსწავლეთა სწავლების შესახებ. ექსპერტმა დააზუსტა, რომ დაწესებულებაში სწავლობდა 8 სსსმ მოსწავლე, რომლებსაც სკოლის მიერ შედგენილი ჰქონდათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 120 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდს (საიდენტიფიკაციო კოდი: 248387892) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

## 5. შპს აიბი - მთიების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა მანანა თურქაძემ წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და შეფასებები თითოეული სტანდარტის მიხედვით. ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო სკოლის მისია. დაამატა, რომ სკოლას ჰყავდა 1003 მოსწავლე. სკოლის მენეჯმენტის რეგულირება ხდება ISO 9001 სტანდარტით. სწავლა მიმდინარეობდა სამივე საფეხურზე.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, აისოს სტანდარტით დარეგულირებული სისტემა როგორ უკავშირდება და ერწყმოდა ჩვენი სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტმა ისაუბრა თუ როგორ წარმატებულად ხდებოდა ამ სისტემების თანხვედრა. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ სკოლას შეთავაზებული ჰქონდა მრავალფეროვანი დამატებითი საგნები, მეცადინეობები, რომლებიც მთავრდებოდა 17:30 საათზე.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სპორტული სექციები მუშაობდა შაბათის ჩათვლით ყოველდღე. სკოლას ჰქონდა დიდი შენობა, რომელშიც იყო სასიამოვნო სასკოლო გარემო.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოების კამერების მეშვეობით სრულყოფილად, კარგად არ კონტროლდებოდა ეზო, თუმცა ვიზიტისას მოხდა 3 გარე პერიმეტრის კამერის დამატება და დამონტაჟება.

ამასთან, ექსპერტმა განმარტა, რომ ორი მათემატიკის პედაგოგი არასრული განათლების გამო არ იყო უფლებამოსილი ჰქონოდათ საათობრივი დატვირთვა და ექსპერტების რეკომენდაციით ორივე მათგანი გადაიყვანეს მათემატიკის კათედრის სტაჟიორებად.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლა სრულად არ იყო ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში, თუმცა ვიზიტის პერიოდში ყველა პედაგოგი ჩაერთო.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ შეკითხვა დასვა დაწესებულების სახელწოდებასთან დაკავშირებით: სახელწოდებაში აიბი საერთაშორისო ბაკალავრიატთან რაიმე კავშირს ხომ არ მიუთითებდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს აბრევიატურა სხვა რამეს ნიშნავდა და არანაირი კავშირი არ ჰქონდა საერთაშორისო პროგრამასთან.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 1 500 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აიბი - მთიებისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1 500-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს აიბი - მთიებს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202166921) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 500-ით.

## 6. შპს სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა ქეთევან ჯანუაშვილმა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და შეფასებები თითოეული სტანდარტის მიხედვით. ექსპერტმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ, სკოლა 2000 წლიდან ფუნქციონირებდა, ავტორიზაცია მიღებული ჰქონდა 180 მოსწავლეზე, თუმცა ამჟამად დაწესებულებაში მცირე რაოდენობის მოსწავლეები სწავლობდნენ. მან აღნიშნა, ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლით კმაყოფილები იყვნენ, როგორც მოსწავლეები, ასევე მშობლები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტისას არ დაფიქსირებულა არსებითი ხასიათის ხარვეზები, უმნიშვნელო ხარვეზები კი ადგილზევე გამოსწორდა ვიზიტის მიმდინარეობისას. მაგალითად სასკოლო სასწავლო გეგმაში, ჩამონათვალში იყო მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოები. დამატებითი რესურსები კი, რომლებიც საგნობრივ პროგრამებში ჰქონდათ გათვალისწინებული, ვიზიტისას დაამატეს სასწავლო გეგმაშიც.

სასკოლო სასწავლო გეგმაში არ ჩანდა სპორტის რომელ სახეობებს ირჩევდნენ, რაც შემდგომ ჩაამატეს. ასევე, კათედრების სხდომის ოქმების მიხედვით კი იყო შემუშავებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები, თუმცა კრიტერიუმები მეტად იყო გამოსაკვეთი კათედრების მიხედვით, რაც ასევე გამოასწორეს.

ხარვეზი დაფიქსირდა სველ წერტილებთან დაკავშირებით, რომელიც ეზოში იყო განთავსებული. სკოლის წარმომადგენლებმა საბჭოს სხდომაზე ჩამოიტანეს სურათები, სადაც ჩანდა რომ მდგომარეობა გამოსწორებულია. აღნიშნული დაადასტურეს ექსპერტებმაც.

ექსპერტმა საბჭოს დამატებით მოახსენა, რომ სკოლაში ჰქონდათ ჟურნალისტიკის პროგრამა და ასწავლიდნენ, როგორც არჩევით საგანს. მე-8 კლასის მოსწავლეები დაინტერესებულები იყვნენ ჟურნალისტიკით და რაიონულ ტელევიზიაში საბავშვო გადაცემების მომზადებაშიც იყვნენ ჩართულნი.

სხდომის თავმჯდომარემ გრიგოლ მურღულიამ ამ საკითხზე გააკეთა კომენტარი, რომ განგრძობითობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი და სასურველი იყო შემდეგ კლასებშიც გაგრძელებულიყო აღნიშნული პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ასწავლიან ჟურნალისტიკის საფუძვლებს და წარუდგინა პროგრამა. სხდომის თავმჯდომარე გაეცნო პროგრამას და პროგრამის მიზანთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიზნები ძალიან კარგია, მაგრამ საეჭვო იყო ამ პროგრამის განმახორციელებელი ქართული ენის პედაგოგის კომპეტენცია რამდენად საკმარისი იქნებოდა პროგრამის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად. საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ მოცემულ საკითხზე აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით სკოლას ასევე შეეძლო წრის ან კლუბის გაკეთება.

საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ იკითხა, თუ როდის გასდიოდა ვადა იჯარის ხელშეკრულებას, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შენობის იჯარის ხელშეკრულებას ვადა გასდიოდა 2022 წელს.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა საბჭოს აცნობა, რომ სკოლაში 32 თანამშრომელი იყო, აქედან 27 პედაგოგი. კლასში საშუალოდ იყო 5-6 მოსწავლე.

ექსპერტმა გარკვეული ეჭვები გამოთქვა სპორტის მასწავლებელთან დაკავშირებით, რომელიც ორთაბრძოლასაც ასწავლიდა, მაგიდის ჩოგბურთსაც და ჭადრაკსაც. ასევე აღინიშნა, რომ სკოლას კი ჰქონდა ხელშეკრულება სახანძრო სამსახურთან, მაგრამ ვერ ნახეს საევაკუაციო გეგმა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 180 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა XXI საუკუნისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა XXI საუკუნეს (ს/კ:212705438) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 16:52 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**თავმჯდომარე**
გრიგოლ მურღულია

**მდივანი**
თამარ ფხალაძე